



საქართველოს
წინამძღვარი

გაერთიანებული
ანგარიში

2020 წელი

საქართველოს პირველი არხი არჩევნების გაშუქება

საანგარიშო პერიოდში მთავარ გამოწვევას წარმოადგენდა არჩევნების გაშუქება და საქართველოში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარება.

31 ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა, ხოლო 21 ნოემბერს მეორე ტური გაიმართა. პირველმა არხმა უზრუნველყო როგორც კვალიფიციური, ასევე, არაკვალიფიციური პოლიტიკური სუბიექტების პროგრამების გაშუქება და დებატები.

საარჩევნო პერიოდში პირველი არხი კვლავ გახდა პოლიტიკური თავდასხმის სამიზნე. მიუხედავად ამისა, პირველმა არხმა უზრუნველყო წინასაარჩევნო პროცესების სრულფასოვანი და დაბალანსებული გაშუქება ყველა პლატფორმაზე.

პირველმა არხმა, ასევე, ჩაატარა [წინასაარჩევნო მონიტორინგი](#), რაც არჩევნების დაბალანსებული გაშუქების დამატებით მექანიზმს წარმოადგენს.

კომუნიკაციების კომისიამ პირველი არხის მიერ საარჩევნო კამპანიის გაშუქებას დადებითი შეფასება მისცა. კომისიის მიერ გამოქვეყნებულ [მედია მონიტორინგის](#) ანგარიშში ნათქვამია, რომ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა წინასაარჩევნო პერიოდი მიუკერძოებლად და ჟურნალისტური სტანდარტების სრული დაცვით გააშუქა.

მაუწყებლის გაშუქების ნეიტრალური ტონი უეთო/ოდირის სადამკვირვებლო მისიის მიერ განხორციელებული მონიტორინგის ანგარიშშიც აღინიშნა.

პირველი არხი, ეპიდემიოლოგიური ვითარების გათვალისწინებით, აგრძელებდა პრევენციული ღონისძიებების ინტენსიურ გამოყენებას და ჭანდაცვის სპეციალისტთა რეკომენდაციების გათვალისწინებას.

დებატები 2020

პირველმა არხმა საანგარიშო და წინა საანგარიშო პერიოდში განახორციელა პროექტი **დებატები 2020**. მაუწყებლობის შესახებ კანონი და საარჩევნო კოდექსი საზოგადოებრივ მაუწყებელს საარჩევნო პერიოდში ვალდებულებებს აკისრებს მხოლოდ კვალიფიციურ სუბიექტებთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, **პირველმა არხმა** ყველა პლატფორმა არაკვალიფიციურ სუბიექტებსაც დაუთმო.



პირველმა არხმა სუბიექტების მონაწილეობის თანმიმდევრობა ღია [წილისყრით](#) განსაზღვრა, რომელშიც 18 კვალიფიციური და 41 არაკვალიფიციური საარჩევნო სუბიექტი მონაწილეობდა. თუმცა, საბოლოო ჯამში, პროექტში ნაკლები რაოდენობის სუბიექტი ჩაერთო, რადგან მათ ნაწილს ცესკო-მ რეგისტრაცია გაუუქმა.

მთლიანობაში კვალიფიციური და არაკვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების დებატებს 4-4 გადაცემა მიეძღვნა. დებატები გადაიცა პრაიმთაიმში - 22:30 საათზე. თითოეულ დებატს 90 წუთი დაეთმო.

დებატებში მონაწილე კანდიდატებს კითხვებზე პასუხის გასაცემად თანაბარი დრო ჰქონდათ. ფორმატი შედგებოდა რამდენიმე რაუნდისგან. დებატებს უძღვებოდნენ: გიორგი გვიმრაძე და მაკა ცინცაძე, მონაწილე კანდიდატის შერჩევა კი თავად პარტიის პრეზიდენტის იყო.

საარჩევნო პროგრამების პრეზენტაცია



28 სექტემბრის კენჭისყრის საფუძველზე, ასევე, დადგინდა სუბიექტების პრეზენტაციებისთვის გამოყოფილი ტელე და რადიო ეთერის რიგითობა.

პირველმა არხმა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე ყველა პოლიტიკურ სუბიექტს მიმართვისთვის შესთავაზა ეთერი მოამბის მთავარ, 21:00-საათიან გამოშვებაში. 30 სექტემბრიდან, მოამბის მთავარ გამოშვებაში, მინიმუმ ორი სხვადასხვა პოლიტიკური სუბიექტის წარმომადგენელს დაეთმო დრო, ჯამში 10 წუთი (თითოეულს 5 წუთი).


მოამბის მთავარ გამოშვებაში 5-წუთიანი პირდაპირი ეთერით ისარგებლა 45-მა საარჩევნო სუბიექტმა. პროექტში მონაწილეობაზე უარი თქვა 6-მა სუბიექტმა, ხოლო საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმების გამო, საეთერო დრო არ დაეთმო რვა სუბიექტს.

საარჩევნო სუბიექტებს, ასევე, შესაძლებლობა ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ საქართველოს რადიოს პროექტში არჩევნები 2020. გადაცემა ეთერში გადიოდა ყოველ სამუშაო დღეს 14:00 საათზე. ყოველ სუბიექტს დაეთმო 10 წუთი.

რადიოპროექტის ფარგლებში პრეზენტაცია გამართა 43-მა სუბიექტმა (13 კვალიფიციური და 30 არაკვალიფიციური). პროექტში მონაწილეობაზე უარი თქვა შვიდმა სუბიექტმა (ოთხი კვალიფიციური და სამი არაკვალიფიციური). ცხრა საარჩევნო სუბიექტი პირველი არხის წილისყრაში მონაწილეობდა, თუმცა შემდეგ ცესკო-მ მათი რეგისტრაცია გააუქმა.

2020 წლის

წინასწარჩვენო მონიტორინგის შედეგები



პირველი არხის და საქართველოს რადიოს საინფორმაციო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულების ყველა გადაცემის [მონიტორინგი](#) პირველი სექტემბრიდან მიმდინარეობდა და მიზნად ისახავდა მონიტორინგის სუბიექტებისთვის დათმობილი დროის რაოდენობრივი მონაცემების დათვლას.

მნიშვნელოვანია, რომ მონიტორინგი წარმოებდა სპეციალურად შექმნილი პროგრამის (TVAnalytics) საშუალებით.

ინფორმაციის დამუშავებას უზრუნველყოფდნენ სხვადასხვა პლატფორმებისა და გადაცემების სპეციფიკის გათვალისწინებით დატრენინგებული მონიტორები.

მონაცემები გაიზომა საერთაშორისო ორგანიზაციების პრაქტიკის შესაბამისად. საარჩევნო სუბიექტების გარდა, ანგარიშში წარმოდგენილია საქართველოს მთავრობის, პრეზიდენტის, ადგილობრივი თვითმმართველობის, ცენტრალური საარჩევნო კომისიის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და არასამთავრობო სექტორის საქმიანობის გაშუქების შედეგები.

მონიტორინგის შედეგები აჩვენებს საზოგადოებრივი მაუწყებლის სარედაქციო პოლიტიკის ძირითად ტენდენციებს:

- საინფორმაციო პროგრამებში საარჩევნო სუბიექტები შექდებოდა მათი აქტივობების შესაბამისად;
- ანალიტიკურ გადაცემებსა და თოქ-შოუებში მეტი აქცენტი გაკეთდა იმ პარტიების გაშუქებაზე, რომლებიც პოლარიზებული საარჩევნო და მედიაგარემოს პირობებში ამომრჩეველთა ყურადღების მიღმა დარჩნენ;
- ერთმანეთის მიმართ მკვეთრად პოლარიზებული საარჩევნო აქტორების ფონზე, მაუწყებლის გაშუქების ტონის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი ნეიტრალურია.

მონიტორინგის ფარგლებში გამოქვეყნებული ანგარიშები:

- პრაიმ თაიმში „მოამბის“ წინასაარჩევნო მონიტორინგის [ანგარიში](#) (1.09.20 - 10.10.20)
- პირველი არხის და საქართველოს რადიოს წინასაარჩევნო მედიამონიტორინგის [ანგარიში](#) (პირველი სექტემბერი-30 ოქტომბერი)
- „მოამბე“ - საპარლამენტო არჩევნების [მონიტორინგის შედეგები](#) (პირველი ნოემბერი-30 ნოემბერი)

სამეურვეო საბჭოს შეფასება

პირველი არხის მიერ წინასაარჩევნო გაშუქება, ასევე, შეაფასა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭომ. გამოქვეყნებულ დოკუმენტში საბჭომ შეაფასა 21-საათიანი მოამბე და საარჩევნო დებატები.

ანგარიშის საბოლოო შეფასებაში ნათქვამია:

საზოგადოებრივი მაუწყებელი

- მიუკერძოებლად აშუქებს წინასაარჩევნო კამპანიას, ამომრჩეველს აწვდის ფაქტზე დაფუძნებულ ინფორმაციას;
- ამომრჩეველს აწვდის ინფორმაციას პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების საარჩევნო პროგრამებთან და დაპირებებთან დაკავშირებით;
- უზრუნველყოფს წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური პარტიებისათვის თანაბარ ხელმისაწვდომობას;
- საინფორმაციო პოლიტიკა არ გამოხატავს მიკერძოებულ დამოკიდებულებას არც ერთი პოლიტიკური პარტიის მიმართ;
- საინფორმაციო გამოშვებებში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ამბების გაშუქების დროს დაცული იყო ეთიკური სტანდარტები და ბალანსი;
- საარჩევნო სუბიექტების, პოლიტიკური პარტიების აქტივობა შექდებოდა ნეიტრალურად;
- აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი საეთერო დროს უთმობს მცირე რესურსის მქონე პარტიებსაც, რაც უზრუნველყოფს სრული პოლიტიკური სპექტრის წარმომჩენას;
- ამ ეტაპზე საზოგადოებრივ მაუწყებელში არ შესულა საჩივარი რაიმე სახის დარღვევის ან შეზღუდვის თაობაზე.

კომუნიკაციების კომისიის მედიამონიტორინგის შეფასება

საანგარიშო პერიოდში კომუნიკაციების კომისიამ საქართველოს პარლამენტის არჩევნების მედიამონიტორინგის მორიგი ანგარიში გამოაქვეყნა. კომისიის დასკვნით, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა წინასაარჩევნო პერიოდი მიუკერძოებლად და ჟურნალისტური სტანდარტების სრული დაცვით გააშუქა.

გამოქვეყნებულ ანგარიშში აღნიშნულია შემდეგი:

„საზოგადოებრივ მაუწყებელზე დაცული იყო ეთიკური და პროფესიული სტანდარტები, საინფორმაციო პროგრამებში აისახებოდა ქვეყანაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენა. წამყვანები და ჟურნალისტები სვამდნენ კრიტიკულ კითხვებს და არ იყვნენ მიკერძოებული არცერთი პოლიტიკური მხარის მიმართ, რაც ხელს უწყობდა ამომრჩევლის ინფორმირებულობას“.

კომუნიკაციების კომისიამ საქართველოს პარლამენტის არჩევნების თვისებრივი მედიამონიტორინგი ექვსი საერთო ეროვნული მაუწყებლისთვის ჩაატარა, რაოდენობრივი ანალიზი კი 50 არხზე განხორციელდა. მონიტორინგი საუკეთესო დროს, 19:00 საათიდან 24:00 საათამდე პერიოდში, შემდეგი სამაუწყებლო სტანდარტების განალიზებით მიმდინარეობდა: ბალანსი, სიზუსტე, რელევანტურობა, სიცხადე, მრავალფეროვნება, მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამოტოვება, სიძულვილის ენა, ყალბი ამბები, დისკრიმინაცია და ვიზუალური/აუდიო მანიპულაცია.

ეთო/ოღირის სადამკვირვებლო მისიის შეფასება

საქართველოს პირველი არხის გაშუქების ნეიტრალური ტონი ეთო/ოღირის სადამკვირვებლო მისიის მიერ განხორციელებული მონიტორინგის ანგარიშშიც აღინიშნა.

ევროკავშირის (EU) და გაერო-ს განვითარების პროგრამის (UNDP) მედიამონიტორინგის ანგარიში

საანგარიშო პერიოდში ევროკავშირმა (EU) და გაერო-ს განვითარების პროგრამამ (UNDP) გამოაქვეყნა მედიამონიტორინგის ანგარიში. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის დაფინანსებითა და გაერო-ს განვითარების პროგრამის ეგიდით მედიამონიტორინგს სამი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია ახორციელებდა - საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, ინტერნიუს საქართველო და CRRC-საქართველო. მედიამონიტორინგი მოიცავდა 12 ტელევიზიას, 10 რადიოს, რვა გაზეთსა და 13 ონლაინ გამოცემას.

დოკუმენტში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ კონკრეტული არასამთავრობო ორგანიზაცია და ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის პოზიციად მისი შინაარსის აღქმა დაუშვებელია. ამასთან, სწორედ ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის შეფასებებს არ დაეთანხმა საზოგადოებრივი მაუწყებელი და ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის ანგარიშთან დაკავშირებით საერთაშორისო ორგანიზაციებს მიმართა. მიმართვაში აღნიშნულია, რომ წარმოდგენილი დასკვნები არ ეფუძნება დაკვირვების შედეგს და რიგ შემთხვევებში, წინააღმდეგობაში მოდის მასთან. ანგარიშში მოტანილი შეფასებები არ ეხმიანება ამავე დოკუმენტში მოტანილ ფაქტობრივ მონაცემებს.

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მონიტორინგის ანგარიშის რაოდენობრივ ნაწილში წარმოდგენილი დიაგრამის თანახმად, პირველი არხის მიერ სუბიექტების გაშუქების ტონი დიდწილად ნეიტრალური იყო. თუმცა რაოდენობრივ მონაცემს მოსდევს შემდეგი ჩანაწერი შინაარსობრივ ნაწილში: „მონიტორინგის პერიოდში საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის საინფორმაციო პოლიტიკა ხელისუფლებისადმი ლოიალური იყო“.

შესაბამისად, ანგარიშიდან ვიგებთ, რომ პირველი არხის საინფორმაციო პოლიტიკა ხელისუფლების მიმართ ერთდროულად იყო ნეიტრალურიც და ლოიალურიც, რაც მინიმუმ ერთმანეთის საწინააღმდეგო მტკიცებას წარმოადგენს.

დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ ზოგ შემთხვევაში „მოამბე“ ავლენდა „ქართული ოცნებისადმი“ მიკერძოებას და არღვევდა ეთიკის ნორმებს. იმავე დოკუმენტში „ქართული ოცნების“ გაშუქების ამსახველ დიაგრამაში კი

ვკითხულობთ, რომ აღნიშნული ობიექტის გაშუქების დროს პირველი არხი 86%-ით ნეიტრალური, 10%-ით ნეგატიური, ხოლო 4%-ით პოზიტიური იყო.

ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ პირველი არხი განსაკუთრებით პოზიტიურად აშუქებდა პრემიერ-მინისტრს. თუმცა ანგარიშის თანახმად, გიორგი გახარიას გაშუქების ტონი მხოლოდ 12%-ით იყო პოზიტიური, ხოლო 83% -ით ნეიტრალური.

პირველი არხის მიმართვაში აღნიშნულია, რომ მონიტორინგის ავტორი ორგანიზაციის ცალკეულ წევრებს დეკლარირებული აქვთ მკვეთრად გამოხატული უარყოფითი დამოკიდებულება საზოგადოებრივი მაუწყებლის, როგორც ინსტიტუციის მიმართ. შესაბამისად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განხორციელებული მონიტორინგის ობიექტურობის დასაბუთება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახეზეა ინტერესთა კონფლიქტი მკვლევარსა და კვლევის ობიექტს შორის, რაც ცალსახად არის ასახული ანგარიშში.

საზოგადოებრივი მაუწყებელი სრულ ნდობას უცხადებს საერთაშორისო ორგანიზაციების მიუკერძოებლობასა და სამართლიან მიდგომას და იმედს იტოვებს, რომ მათ ექნებათ შესაბამისი რეაქცია. თავის მხრივ, საქართველოს პირველი არხი გამოთქვამს სრულ მზადყოფნას თანამშრომლობისთვის.

თავდასხმა პირველ არხზე

საანგარიშო პერიოდში **საქართველოს პირველი არხი** პოლიტიკოსების ნაწილის მხრიდან თავდასხმის ობიექტი კვლავ გახდა. მაშინ როდესაც ქვეყანაში **საზოგადოებრივი მაუწყებლის** არსებობა საკონსტიტუციო დონეზეა გარანტირებული, მაუწყებელს აქვს დამოუკიდებელი სარედაქციო პოლიტიკა და ყველა პოლიტიკურ ძალას აშუქებს თანაბრად, ოპოზიციის ნაწილმა **საზოგადოებრივი მაუწყებლის** ინსტიტუტი გააკრიტიკა და არჩევნების შემდეგ მისი გაუქმება დააანონსა.

ცილისწამება და უსაფუძვლო ბრალდებები **პირველი არხის** მისამართით პირველი შემთხვევა არ არის. დეზინფორმაციის კამპანია განსაკუთრებით არჩევნების პერიოდში გამძაფრდა.

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მიმართა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობებს საქართველოში, დიპლომატიურ კორპუსს, ევროპის მაუწყებელთა კავშირს (EBU) და მოუწოდა, ყურადღებით დააკვირდნენ საქართველოში მიმდინარე პროცესების დროს საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტებზე ზემოქმედების, დაშინებისა და მათ საქმიანობაში უხეში ჩარევის უტყუარ ფაქტებს.

მიმართვაში აღნიშნულია, რომ კატეგორიულად მიუღებელია მედიის წარმომადგენლების მიმართ ის ზემოქმედება, რასაც 8 ნოემბრის აქციის მიმდინარეობისას მიმართა „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა. ნათელია, რომ მისი უსაფუძვლო მძიმე ბრალდებები და საუბრის ტონი მიზნად ისახავს ჟურნალისტების დაშინებასა და მათი საქმიანობისთვის ხელის შეშლას.

ასევე, მუქარის კამპანიის გაგრძელებას წარმოადგენს დეპუტატ გიორგი კანდელაკის განცხადება, რომ ხელისუფლების ცვლილების შემდეგ გადაწყდება, საერთოდ უნდა გააგრძელოს თუ არა საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ფუნქციონირება.

მსგავსი კამპანიები, როგორც წესი, იწყება მაშინ, როცა პოლიტიკოსებს არ მოსწონთ ჟურნალისტების მხრიდან მათთვის დასმული კითხვები და მომზადებული რეპორტაჟები. რასაკვირველია, ეს ჟურნალისტების დაშინებასა და დამორჩილებას ისახავს მიზნად.

1596 ტელეგაკვეთილი და 8 პროექტი

პანდემიური ვითარების გათვალისწინებით, მეოთხე კვარტლის განმავლობაშიც, „ტელესკოლა“ კვლავ დარჩა ყველაზე ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო პლატფორმად სახლში დარჩენილი მოსწავლეებისთვის. მნიშვნელოვანია, რომ სტანდარტული გაკვეთილების პარალელურად, ხორციელდება პროექტები, რომლებიც მოსწავლეთათვის დამატებით სასწავლო რესურსად შეიძლება განვიხილოთ.



პირველი არხი
ტელესკოლა

2020 წლის მეოთხე კვარტალში „პირველი არხი - ტელესკოლის“ ეთერში ტელეგაკვეთილები 6-საათიან საეთერო ზოლად ჩაიშალა, რადგან ეროვნული უმცირესობისთვის განკუთვნილი გაკვეთილები ერთსაათიან ზოლში მოექცა. ისევე, როგორც პირველ სეზონზე, ამჯერადაც გაკვეთილები განწერილი იყო ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით და მოიცავდა ყველა კლასსა და ყველა საგანს.

„გაეროს მოსახლეობის ფონდთან“ თანამშრომლობის ფარგლებში, ტელეგაკვეთილების ფორმატში მომზადდა 12 გაკვეთილი (ქრონომეტრაჟი-15წთ), რომელიც მოსწავლეებში სამოქალაქო განათლებისა და ბიოლოგიის მიმართულებით ცნობიერების ამაღლებას ისახავდა მიზნად.

„გერმანული საერთაშორისო შემნახველი ბანკების“ ორგანიზაციასთან და ეროვნულ ბანკთან თანამშრომლობის ფარგლებში მომზადდა ერთი გაკვეთილი (15-წუთიანი ქრონომეტრაჟით) ფინანსური განათლების მიმართულებით. გაკვეთილის მიზანი იყო მოსწავლეების ინფორმირება პირადი ბიუჯეტის და ხარჯების ეფექტურ, გონივრულ დაგეგმვასთან დაკავშირებით.

საანგარიშო პერიოდში, გარდა ტელეგაკვეთილებისა, მომზადდა რვა სხვადასხვა პროექტი:

- „ხალხური სიმღერის გაკვეთილები“ - მეორე სეზონის განმავლობაში მომზადდა 15 ეპიზოდი, 20 წუთიანი ქრონომეტრაჟით.
- „დათო ევგენიძის მუსიკის გაკვეთილები“ - განახლდა 15 სექტემბრიდან. მეორე სეზონის ფარგლებში მომზადდა 20 ეპიზოდი, 15-წუთიანი ქრონომეტრაჟით.

- „**ლიტერატურული ფრაგმენტები**“ - შექმნის მიზანი იყო მოსწავლეებისთვის ლიტერატურის სიღრმისეულად გაანალიზების შესაძლებლობის მიცემა.

პროექტის ფარგლებში მომზადდა 25 ეპიზოდი, 30-ნუთიანი ქრონომეტრაჟით.

- „**მათემატიკის საშაბათო სკოლა**“ - ეს არის დამატებითი სასწავლო რესურსი მათემატიკით დაინტერესებულ მოსწავლეებისთვის, რომ მათ ჰქონდეთ საშუალება, ისწავლონ გამოყენებითი მათემატიკის საფუძვლები და გაიღრმავონ მათემატიკური და ლოგიკური უნარები. **პროექტის ფარგლებში მომზადდა 22 ეპიზოდი, 20-ნუთიანი ქრონომეტრაჟით.**
- „**ინგლისური ყველასთვის**“ - ეს პროექტი მიზნად ისახავს, ინგლისური ენის სწავლა გახადოს ყველასთვის ხელმისაწვდომი და შეასწავლოს ინგლისური ნებისმიერ საფეხურზე მყოფ, ნებისმიერი ასაკობრივი ჯგუფის მაყურებელს. **პროექტის ფარგლებში მომზადდა 76 ეპიზოდი, 25-ნუთიანი ქრონომეტრაჟით.**
- „**ქართული ჟესტური ენის გაკვეთილები**“ - ამ პროექტის მიზანია, მარტივად და სახალისოდ ასწავლოს მაყურებელს ჟესტური ენა, რათა სპეციალური საჭიროების მქონე ჩვენმა მეგობრებმა თავი საზოგადოების სრულფასოვან წევრებად იგრძნონ. **პროექტის ფარგლებში მომზადდა 12 ეპიზოდი, 12-15-ნუთიანი ქრონომეტრაჟით.**

მნიშვნელოვანი

სიასლუაბი და აქტივობები

2020

წელი | IV კვარტალი

ოლიმპიადა „ჩვენი ქართული ენა“



საქართველოს პირველმა არხმა, პროექტის „მრავალფეროვანი საქართველო“ ფარგლებში, აზერბაიჯანულ და სომხურენოვანი სკოლების მოსწავლეთა ოლიმპიადის - „ჩვენი ქართული ენა“ გამარჯვებულები **დააჯილდოვა**.

პროექტი „ჩვენი ქართული ენა“ ქართული ენის პოპულარიზაციას ისახავს მიზნად იმ რეგიონში, სადაც ჩვენი თანამოქალაქე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები ცხოვრობენ. პროექტი საქართველოში აშშ-ის საელჩოს მხარდაჭერით ტარდება.

ოლიმპიადაში მონაწილეობა 250-მა მოსწავლემ მიიღო, რომელთაგანაც სამი გამარჯვებული გამოვლინდა.


BBC- 50:50

გენდერული ბალანსის დასაცავად, საქართველოს პირველმა არხმა, „ბიბისი“-სთან თანამშრომლობა დაიწყო. ევროპის ქვეყნების რამდენიმე საზოგადოებრივი მაუწყებლის შემდეგ, „ბიბისის“ მიერ ორი წლის წინ დაწყებულ პროექტს საქართველოს პირველი არხი უერთდება. პროექტი „50:50“-ზე ყველა პლატფორმაზე გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფას გულისხმობს.

საქართველოს პირველი არხის ახალი შენობის საძირკველში სიმბოლური კაფსულა ჩაიდო

30 დეკემბერს საქართველოს პირველი არხის ახალი შენობის საძირკველში სიმბოლური კაფსულა ჩაიდო. ეს თარიღი იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ამ დღეს საქართველოს პირველ ტელევიზიას 64 წელი შეუსრულდა.

ახალი თანამედროვე შენობის საძირკველში მოთავსებულ კაფსულაში მაუწყებლის თანამშრომლების მიერ დაწერილი გზავნილები ჩაიდო. ახალ მისამართზე საქართველოს პირველ არხს უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი, სპეციალურად მაუწყებლის ამოცანებზე მორგებული ახალი შენობა ექნება. შენობის პროექტი საზოგადოების მიერ საკონკურსო შეირჩა.



„დისნაი“ საქართველოში



კომპანია „დისნაი“ (The Walt Disney Company) საქართველოში პირველად თანამშრომლობის კონტრაქტი პირველ არხთან გააფორმა.

პირველი არხი 2021 წლის იანვრიდან მაყურებელს შესთავაზებს ორიგინალურ, ლიცენზირებულ, ოფიციალური კონტრაქტით შექმნილ პაკეტს, რომელიც მოიცავს ქართულ ენაზე მაღალი ხარისხით გახმოვანებულ პროდუქციას.

კონტრაქტით გათვალისწინებულია 349 ფილმის ჩვენება. კომპანია **Disney**-ს გარდა, ნაჩვენები იქნება ისეთი ცნობილი კომპანიების ფილმები, როგორებიც არის - **Marvel**, **20th Century Studios**, **Lucasfilm**.

ანიმაციის გარდა, საქართველოს პირველი არხი მაყურებელს შესთავაზებს **Disney**-ს ფილმებს დღის ეთერისა და საოჯახო ყურებისთვის, **Lucasfilm**-ის „**ვარსკვლავურ ომებს**“ (**Star Wars**), ასევე **Marvel**-ის და **20th Century Studios**-ს საკულტო ფილმებს.

აღსანიშნავია, რომ **Marvel**-ის და **Star Wars**-ის ფილმები ეთერში მრავალხმიანი დუბლირებით გავა.

პირველი არხი მაყურებელს **Disney**-ს, **Marvel**-ის, **20th Century Studios**-ს, **Lucasfilm**-ის ანიმაციის და მხატვრული ფილმების სრულად დუბლირებულ ვერსიას შესთავაზებს.

მაყურებელს, ასევე, ექნება სიმღერების ქართული ვერსიების მოსმენის საშუალება, რაც უპრეცედენტო მოვლენაა ქართულ ტელევიზორში.

მოკლევადიანი მხატვრული ფილმების კონკურსი

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გამოცხადებული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმების პროექტების მიღებას გამოეხმაურა 48 საპროდიუსერო-შემოქმედებითი ჯგუფი.

გამარჯვებულად გამოცხადდა ლუიჯი პირანდელოს ნაწარმოებების მოტივებზე შექმნილი პროექტი „სავსე სიცარიელე“. პროდიუსერი - კონსტანტინე (მინდია) ესაძე, რეჟისორი - ირინე ჭავჭავაძე.

სკორტული მოვლენები პირველი არხის ეთერში


- უეფა-ს 2020 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის პლეი ოფის ნახევარფინალის მატჩი - საქართველო-ბელარუსი (8 ოქტომბერი);
- ისტორიული მატჩი - ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასასვლელი მატჩი საქართველოსა და მაკედონიის ნაკრებებს შორის;
- ევროპის ჩემპიონატი ძიუდოში - ექსკლუზიურად საქართველოს პირველი არხისა და ტელესკოლის ეთერში;
- ევროპის 2021 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩები კალათბურთში (28 და 30 ნოემბერი);
- უეფას ქალთა ჩემპიონთა ლიგის მატჩი - „ლანჩხუთი“ - „როზენგარდი“ (9 დეკემბერი); აღსანიშნავია, რომ პირველად ქართული ფეხბურთის ისტორიაში, გუნდმა იასპარეზა ჩემპიონთა ლიგაზე.
- ასევე მნიშვნელოვანი იყო გადაცემა „ტაიმაუტის“ სპეციალური გამოშვებები, რომლებიც ფეხბურთში საქართველოს ნაკრების თამაშებთან დაკავშირებით იხილა მყურებელმა „დინამოს“ სტადიონიდან.



25 ნოემბერი - ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე

თარღის აღნიშვნას საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის თითქმის ყველა გადაცემა შეუერთდა. მაუწყებლის შენობა სპეციალურად წითლად განათდა.

აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი მუდმივად აშუქებს გენდერული თანასწორობის საკითხებს და პრიორიტეტად ისახავს ამ მიმართულებით აქტიურ მუშაობას. წლის დასაწყისში მაუწყებელმა პრაქტიკაში დანერგა ევროპის მაუწყებელთა კავშირის გენდერული ჯგუფის მიერ შემუშავებული დოკუმენტი „ყველა თანასწორია“, რომელიც 11 ქვეყნის წარმომადგენლის ჩართულობით, გენდერული ჯგუფის თავმჯდომარის, თინათინ ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით შეიქმნა.





„ვოისი“

„ვოისი“ - მსოფლიოში ყველაზე რეიტინგული მუსიკალური მეგაშოუ „ვოისის“ შესარჩევი ტურები და სტუდიის მოსამზადებელი ტექნიკური სამუშაოები დასრულებულია. პროექტი, რომელზეც პირველ არხთან ერთად „NOVA პროდაქშენი“ მუშაობს, ეთერში 20 თებერვალს გავა და მაცურებელს 11 ეპიზოდს შესთავაზებს.

„სეანსი“ - HBO-ს In Treatment-ის ქართული ანალოგი

ნოემბრიდან პირველი არხის ეთერში განთავსდა მხატვრული სერიალი „სეანსი“. პროექტს მაუწყებელი „NOVA პროდაქშენტან“ ერთად აწარმოებდა.

სერიალი 45 სერიისგან შედგება და მასზე რეჟისორმა თინათინ გურჩიანმა იმუშავა. სერიალში მთავარ როლებს ასრულებენ: რეზო ჩხიკვიშვილი, ნინო კასრაძე, ნატალია ყულოშვილი, პაატა ინაური, სალომე თოფურია, კატო კალატოზიშვილი, გიორგი შარვაშიძე, ია სუხიტაშვილი, მიხეილ გომიაშვილი.

სერიალი ეთერშია ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 22:00 საათზე.





პირადი ექიმი მარი მალაზონია

Covid-19 #საბანგებო

ცხელი ხაზი 24/7

2409001

2409003

„პირადი ექიმი - მარი მალაზონია“ განახლებული ფორმატით

ყოველდღიური სამედიცინო გადაცემა წლის ბოლოს გადაფორმდა და ქრონომეტრაჟი გაიზარდა. პანდემიური ვითარების გათვალისწინებით, შეიქმნა პირველი არხის ცხელი ხაზი, სადაც მაცურებელს საშუალება ეძლეოდა 24/7-ზე დაერეკა მისთვის საინტერესო კითხვით. დასმულ შეკითხვებზე მაქსიმალურად ოპერატიულად პასუხობდნენ გადაცემის კვალიფიციური სტუმრები.

ცხელი ხაზის გახსნის დღიდან (24.12.2020) 31 დეკემბრის ჩათვლით შემოვიდა 770 ზარი, აქედან სასწრაფო სამედიცინო დახმარება გაეგზავნა 20-მდე მოქალაქეს, განხორციელდა 9 ადამიანის პოსპიტალიზაცია, ექიმის კონსულტაცია გაენია არაერთ პაციენტს.



საბავშვო ევროვიზია 2020

საბავშვო მუსიკალური შოუ „რანინა“ 13 ნოემბერს, გრანდიოზული ფინალით დასრულდა და კონკურსის გამარჯვებული სანდრა გადელია გახდა, რომელიც წარმატებით წარდგა 2020 წლის საბავშვო ევროვიზიაზე გიგა კუხიანიძის სიმღერით „შენ მარტო არ ხარ“.

პანდემიის გამო, საერთაშორისო ღონისძიება ნაწილობრივ დისტანციურ რეჟიმში მიმდინარეობდა. კონკურსში 12 ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა. საქართველომ მეექვსე ადგილი მოიპოვა.

საახალწლო ეთერი




პანდემიის მიუხედავად, არხმა მაყურებლისთვის მრავალფეროვანი, საინტერესო და განსხვავებული პროგრამა მოამზადა.

31 დეკემბერს ყველა გადაცემა სადღესასწაულო ფორმატით იყო წარმოდგენილი. წინასაახალწლო დღეებში კი, ეთერში გავიდა კლასიკად ქცეული ქართული ფილმები და ყველა თაობის საყვარელი ქართული მულტფილმები.

საახალწლო ეთერში იყო უნიკალური ჩანაწერები ოქროს ფონდიდან და რაც მთავარია, პირველად საქართველოში, პირველ არხზე „დისნეის“ ყველაზე ფერადი და ჭადოსნური სამყარო გაცოცხლდა. მრავალფეროვანი პროგრამა ყველა ასაკისა და გემოვნების მაყურებელზე იყო მორგებული.

საახალწლო მიუზიკლი

2020 წლის სექტემბერში არხმა დაიწყო საახალწლო მიუზიკლის შესაქმნელად მზადება და შოუს პრემიერა წარმატებით შედგა ახალი წლის ღამის ეთერში. მსოფლიოს კინომუსიკის შედეგები ცნობილმა ქართველმა შემსრულებლებმა, მათ შორის, „რანინას“ ფინალისტებმა გააცოცხლეს და მაყურებელს გემოვნებიანი მუსიკალური სანახაობა შესთავაზეს.



აკუსტიკა

გემოვნებიანი მუსიკალური განწყობა „აკუსტიკამ“ გააგრძელა. სპეციალური საახალწლო გამოშვება დაკომპლექტებული იყო ბევრი ორიგინალური და საინტერესო მუსიკალური კომპოზიციით.

მასტერშეფი

კულინარიულმა მეგაშოუმ, 2020 წლის შემოდგომაზე ძალიან წარმატებული მეოთხე სეზონი ჩაატარა. სეზონის გამარჯვებულის ვინაობა 30 ნოემბერს, ფინალურ გადაცემაში გამოვლინდა - ქვეყნის საუკეთესო მზარეულის ტიტული მირიან სულაკაურმა მოიპოვა.

31 დეკემბერს, 22:00 საათზე, „მასტერშეფის“ სპეციალური გადაცემა განთავსდა ეთერში. ოთხი სეზონის გამორჩეული მზარეულები ერთმანეთს საახალწლო კერძების მომზადებაში შეეჯიბრნენ. დასახელდა სიმბოლური გამარჯვებულიც.



საქართველოს რადიო

ჩატარებული რადიო აუდიტორიის კვლევის (მესამე კვარტალში) შედეგების გათვალისწინებით, მეოთხე კვარტალში დაიწყო მუშაობა გეგმაზე, რომლის მიზანია საქართველოს რადიოს აუდიტორიის და ეფექტურობის გაზრდა.



შემუშავდა ახალი მუსიკალური ფორმატი, რომელიც აქცენტს ქართულ ხარისხიან მუსიკაზე აკეთებს. ახალი მუსიკალური ფორმატით **საქართველოს რადიო** რადიოსივრცეში პოზიციონირებს სლოგანით **უსმინე ქართულს**.

შემუშავდა არხის ახალი შეფუთვა, რომელიც შემდეგი კვარტლიდან განთავსდება **საქართველოს რადიოს** ეთერში;

აუდიტორიის კვლევების ანალიზზე დაყრდნობით, შევიდა ცვლილებები პროგრამებსა და ცალკეულ გადაცემებში. ეს ცვლილებები 2021 წლის ეთერში აისახება.

ახალი პროექტი - კოდკასტი - შენი აუდიო სივრცე

სექტემბერში ევროპის მაუწყებელთა კავშირის (EBU) აკადემიის მხარდაჭერით, საქართველოს პირველი არხის რადიო და ონლაინმედიის თანამშრომლებისთვის ტრენინგი ჩატარდა.

შეიქმნა ვებ-გვერდი შენი აუდიო სივრცე. ეს არის უნიკალური სივრცე, სადაც აუდიტორიას შეუძლია იპოვოს, მოუსმინოს და გადმოიწეროს სასურველი აუდიომასალა. დაგეგმილია აუდიტორიის ჩართვა - მსმენელი შეძლებს ამ სივრცეში გააუღეროს/იპოვოს საკუთარი ხმა. **საქართველოს რადიოს** აუდიოსივრცე - ეს არის რეკლამისგან თავისუფალი უსაფრთხო მედია.

შენი აუდიო სივრცე

მოუსმინე რადიოს **LIVE** რეჟიმში


FM 102.3

FM 100.9

▶ მუსიკა



ახალი



ონლაინ კლატფორმა

დასრულდა ვებპროექტ „ანტიფეიკის“ ტექნიკური სამუშაოები. ფეისბუქზე შეიქმნა პროექტის გვერდი, სადაც „ანტიფეიკის“ ვებგვერდზე გამოქვეყნებული სტატიები ზიარდება.

დასრულდა ვებგვერდ Itv.ge-ის ახალი LIVE ფლეიერის ტექნიკური სამუშაოები.

დასრულდა ვებპროექტ „360საქართველოს“ ტექნიკური სამუშაოები. ფეისბუქზე შეიქმნა პროექტის გვერდი, სადაც აქტიურად ზიარდება ახალი დამატებული ტურები.

დასრულდა აპლიკაცია [Mobile TV](#)-ის ტექნიკური სამუშაოები.

მიმდინარეობდა ვებგვერდ Itvscena.ge -ის ტექნიკური სამუშაოები.

მიმდინარეობდა ვებგვერდ Itvpodcast.ge -ის ტექნიკური სამუშაოები.

ონლაინ მომხმარებელთა რაოდენობა დინამიკურად ზრდადი იყო ყველა კლატფორმაზე:

საიტის  | ITV.GE სტატისტიკა

IV კვარტალი 2020	III კვარტალი 2020
ვიზიტი საიტზე - 12 604 465	ვიზიტი საიტზე - 9 488 944
უნიკალური მომხმარებელი (საშუალოდ დღეში) - 111 958	უნიკალური მომხმარებელი (საშუალოდ დღეში) - 83 121
საშუალოდ დღეში ვიზიტი: 137 005	საშუალოდ დღეში ვიზიტი: 103 141
მაქსიმალური მარჯვენაბალი 241 000 (12/11/2020)	მაქსიმალური მარჯვენაბალი 255 000 (15/08/2020)



სტატისტიკა

IV კვარტალი 2020	III კვარტალი 2020
ნახვა - 33 000 000	ნახვა - 29 500 000
საშუალოდ დღეში ნახვა - 358 700	საშუალოდ დღეში ნახვა - 320 652
მაუსიგალური მარჯვენაბელი - 560 870 [29 ნოემბერი 2020]	მაუსიგალური მარჯვენაბელი - 529 000 [26 ივლისი 2020]

დღევანდელი მდგომარეობით, Youtube-არხების სტატისტიკით, პირველი არხი ერთერთი ლიდერია ქართულ მედიაში.


ფაისბუქ-გვერდი - პირველი არხი

ვიდეოების საერთო ნახვა - 27,5მილიონი - წინა 3 თვესთან შედარებით ნახვები მოიმატა 27.2%-ით

ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 432,600 - წინა სამ თვესთან შედარებით მომატებულია 1.15%-ით



გვერდის საერთო ლაიქების რაოდენობა 357,629- გაზრდილია 3.12%-ით



ჩატარებული კვლევები

ჩატარდა პირველი არხის ტელეაუდიტორიის რაოდენობრივი კვლევა სატელეფონო გამოკითხვის მეთოდით. კვლევის მიზანი:

1. პირველი არხის პოზიციონირება;
2. გადაცემების რეიტინგი;
3. აუდიტორიის ქცევის განსაზღვრა;
4. ტელეარხებისადმი მაყურებლის ნდობა;
5. ყურებადობა დროითი შუალედების მიხედვით.

ჩატარდა პირველი არხის ტელეაუდიტორიის რაოდენობრივი კვლევა სატელეფონო გამოკითხვის მეთოდით. კვლევის გეოგრაფია: ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი. კვლევის მიზანი:

1. აღნიშნულ რეგიონებში ტელევიზორის ყურების ინტენსივობა;
2. სატელევიზიო სიგნალის მიღების წყარო;
3. ქართული არხების ტელეყურების გამოცდილება;
4. ქართული არხების ყურებასთან დაკავშირებული ბარიერები;
5. პირველი არხის გადაცემების აუდიტორიის განსაზღვრა;
6. პირველი არხის გადაცემების თარგმნის სურვილი არაქართულ მოსახლეობაში;
7. ტელესკოლა - ქართული ენის გაკვეთილების მაყურებლები.

- მზადდება თვისობრივი კვლევა ბავშვებთან სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში ფოკუსგუფების მეთოდით. კვლევის მიზანია ქართული ანიმაციური ფილმ „მაშველების“, როგორც პროდუქტის ხარვეზების აღმოჩენა და გამოაშკარავება, მისი შესაბამისობა სამიზნე სეგმენტთან, არსებული პოტენციალის და სამომავლო განვითარების მიმართულებების ძიება.

განხორციელებული

ტექნიკური სამუშაოები

2020

წელი | IV კვარტალი

განხორციელებული ტექნიკური სამუშაოები

ახალი ამბების წარმოების და მაუწყებლობითვის საჭირო ტექნიკის სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ TVC Solutions-მა 2020 წლის ოქტომბერში განხორციელა საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის 15.07.2020წ. №112-6 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტექნიკის მოწოდება და დაიწყო მისი მონტაჟი და ინსტალაცია ტელევიზიის პირველი კორპუსის მეორე სართულზე არსებულ სასერვერო, საეთერო სააპარატოებსა და მესამე სართულზე პროგრამა „მოამბის“ ახალ საეთერო სააპარატოში.

ცენტრალური ინჯესტის და ავტომატიზირებული მაუწყებლობის დაგეგმარებისთვის საჭირო ტექნიკის სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ Broadcast Solutions GmbH-მა 2020 წლის ნოემბერში განხორციელა საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტექნიკის მოწოდება და დაიწყო მისი მონტაჟი და ინსტალაცია ტელევიზიის პირველი კორპუსის მეორე სართულზე არსებულ სასერვერო, საეთერო და ინჯესტის სააპარატოებში.

მონიტორინგის/ტექნიკური კონტროლის მონაცემები:

მონიტორინგის ჯგუფი აკონტროლებდა გავრცელების სხვადასხვა ქსელების მიერ უზრუნველყოფილ დაფარვის ხარისხს და აწარმოებდა რეგიონულ მონიტორინგს. გუფმა შეასრულა გასვლითი გაზომვები რამდენიმე ლოკაციაზე და აწარმოა ჩანაწერები გავრცელების ქსელში იშვიათად მომხდარი ავარიული ამორთვების, ან სხვა ხარვეზების შესახებ.

IT სამსახური

დაიწყო ქსელის და ქსელური უსაფრთხოების (ფაირვოლის) პროექტის იმპლემენტაცია.

ტექნიკური გადაიარაღების ფარგლებში განხორციელებული შესყიდვები:

- ვიდეო-სამონტაჟო და გრაფიკული სამუშაო სადგურების სახელმწიფო შესყიდვა;
- კომპიუტერის ნაწილების და აქსესუარების სახელმწიფო შესყიდვა;
- საეთერო-სასერვერო სისტემების მართვის სამუშაო სადგურების სახელმწიფო შესყიდვა;
- ინტერნეტ მომსახურების (ოპტიკურ-ბოჭკოვანი არხით) სახელმწიფო შესყიდვა;
- FTP სერვერის კოლოკაციის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა.

იურიდიული

სამსახურის ანგარიში

2020

წელი | IV კვარტალი

ხელშეკრულებების შესახებ

2020 წლის მე-4 კვარტალში იურიდიული სამსახურის მიერ მომზადდა 245 ხელშეკრულება (მათ შორის, ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, საიჯარო, სარეკლამო/სასპონსორო და სხვ.).

სასამართლო და საელსრულებო ბიუროში არსებული საქმეების შესახებ

2.1. სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ წინააღმდეგ საერთო სასამართლოებში არსებული საქმეების ნუსხა 2020 წლის მე-4 კვარტლის განმავლობაში:

№	მოსარჩელა	დავის საგანი	საქმის წარმოების სტადია
1	ფ/ვ ვანთაგ კანდელაკი	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	<p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.</p> <p>_ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ვ. კანდელაკის სააპელაციო საჩივარი, ბათილად იქნა ცნობილი შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ბრძანება და სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებელს“ დაეკისრა ვ. კანდელაკის სასარგებლოდ კომპენსაციის გადახდა.</p> <p>- გადაწყვეტილება სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ გასაჩივრებულია საქართველოს უზენაეს სასამართლოში.</p> <p>- ამ ეტაპზე უცნობია, ცნო თუ არა დასაშვებად საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საკასაციო საჩივარი</p>
2	ფ/ვ ეკატერინე მაჭავარიანი	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება,	<p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.</p> <p>ა) ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება და</p> <p>ბ) საზოგადოებრივი მაუწყებელს ე. მაჭავარიანის სასარგებლოდ დაეკისრა კომპენსაციის გადახდა.</p> <p>- გადაწყვეტილება გასაჩივრებული იქნა ორივე მხარის მიერ სააპელაციო წესით.</p> <p>_ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.</p> <p>- ამ ეტაპზე საქართველოს უზენაესი სასამართლო განიხილავს მხარეთა საკასაციო საჩივრების დასაშვებობას</p>

№	მოსარჩელა	დავის საგანი	საქმის წარმოების სტადია
3	საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო	საჯარო ინფორმაციის გაცემა	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. _ გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში - სააპელაციო სასამართლოს მიერ საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.
4	ფ/პ ავთანდილ ძიძიგური	უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული შემოსავლიდან მოსარჩელისთვის 12 794 ლარის უკან დაბრუნება	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა
5	ფ/პ ნუგზარ რუხაძე	საავტორო ჰონორარის სახით 276 000 ლარის დაკისრება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
6	შპს "სტედია ფონოგრაფი"	სატენდერო კომისიის ოქმების და მათ საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულების ბათილად ცნობა, შესყიდვების სააგენტოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის" მოსარჩელის სასარგებლოდ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალება ტენდერთან დაკავშირებით	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, ბათილად იქნა ცნობილი სატენდერო კომისიის ოქმები და მათ საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულება. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა. - გადაწყვეტილება სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში.
7	ალექსანდრა ჯანდიერი	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. - ალ. ჯანდიერის მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში.
8	ალექსანდრა ჟღენიძი	პლაგიატის აღიარება, საავტორო უფლებების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურება 100 000 ლარის ოდენობით	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
9	საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	საჯარო ინფორმაციის (კერძოდ, მაუწყებლობის შესახებ კანონის მე-201 მუხლით განხორციელებული შესყიდვების შესახებ შესაბამისი ხელშეკრულებების) გაცემასთან დაკავშირებით ქმედების განხორციელების დავალება	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელს" დაევალა მხოლოდ რეზიდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების გადაცემა მოსარჩელისთვის პერს. მონაცემების მითითების გარეშე (ანუ, დაშტრიხული სახით). - იმ ნაწილში, რითაც არ დაკმაყოფილდა საიას სარჩელი, საია-ს მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრებული იქნა სააპელაციო სასამართლოში და სააპელაციო სასამართლოს მიერ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. - სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გასაჩივრებულია საკასაციო წესით
10	საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	საჯარო ინფორმაციის (ტექნიკური გადაიარაღების სამოქმედო გეგმის) გაცემასთან დაკავშირებით ქმედების განხორციელების დავალება	- თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

№	მოსარჩელე	დავის საგანი	საქმის წარმოების სტადია
11	ალექსანდრე ხოჯავა	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	<p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა.</p> <p>ა) ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება;</p> <p>ბ) მოსარჩელე აღდგენილ იქნა დაკავებულ თანამდებობაზე;</p> <p>გ) საზოგადოებრივ მუწყებელს ალ. ხოჯავას სასარგებლოდ დაეკისრა განაცდური ხელფასის ანაზღაურება.</p> <p>_ სსიპ "საზოგადოებრივი მუწყებლის" მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში</p>
12	ია მახარაძე	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება, დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენა და მორალური ზიანის ანაზღაურება	<p>_ დავა დასრულდა მორიგებით.</p> <p>დავა დასრულებულია</p>
13	საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აქტის ბათილად ცნობა და საზოგადოებრივი მუწყებლის ეთერში სოციალური რეკლამის განთავსება	<p>_ მოცემულ საქმეზე სსიპ "საზოგადოებრივი" მუწყებელი ჩართულია მესამე პირად.</p> <p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.</p>
14	ანა თურაბელიძე	დისციპლინური სანქციის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
15	დონარა შონავა	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
16	მარიამ ბოლქვაძე	დისციპლინური სანქციის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
17	შპს "ბროდვასტ სოლუშინ"	დავების განხილვის საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების და საზოგადოებრივი მუწყებლის სატენდერო ოქმის ბათილად ცნობა, ტენდერში გამარჯვებულად აღიარება და შესაბამისი ქმედებების დავალება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
18	შპს "მკს"	სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს - 20 123,24 ლარის დაკისრება	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და სსიპ "საზოგადოებრივი მუწყებელს" დაეკისრა პირგასამტეხლოს გადახდა 3 000 ლარის ოდენობით, რაც გასაჩივრდება აპელაციის წესით.

№	მოსარჩელა	დავის საგანი	საქმის წარმოების სტადია
19	გიორგი სუნიტაშვილი	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
